№ 91

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ
ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲛᲒᲝ

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ
ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲤᲐᲡᲘ 1 ᲗᲐᲜ.

ᲠᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲙᲕᲘᲠᲐ, 27 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ 1919 Წ.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲛᲒᲝ, ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

(ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲗ)

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲬᲔᲠᲐ 1919 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ერთი წლიან—220 მ., ნახევარი წლიან—110 მ., ერთი თვიანი 20 მ (ალაგი ნომერი ყველგან 1 მან. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშების დამატებით 2 მანეთი სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან ექვსაღამეების 8 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

ᲗᲑᲘᲚ. ᲥᲐᲠᲗ. ᲕᲐᲭᲐᲠ-ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲭᲝ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ,

რომ საქართველოს სავაჭრო-სანრეწველო პალატის წევრებად და კანდიდატებად არჩეულ იქნენ: წევრებათ: 1) ამირაჯიბი კოსტანტინე, 2) ილაშვილი დავთი, 3) ბერულავილი ადამ, 4) ბერულავილი ვასილ, 5) ბენდელქაძე სპირიდონ, 6) გაბაშვილი ნიკოლოზ, 7) გვეფსანი იოსებ, 8) გოლუა პატიენ, 9) დათუმიძე რაფაელ, 10) ზურაბიშვილი ვასილ, 11) კვეზერელი კოპაძე ივანე, 12) კურდღელაშვილი რომან, 13) კორაშვილი კოტე, 14) კილასონია ნიკოლოზ, 15) ღლინერი ნიკოლოზ, 16) ლორთქიფანიძე იასონ, 17) ღლაქე მიროდენ, 18) სარქისოვი კონსტანტინე, 19) სულუბია მოსე, 20) ტყავაძე კოტე, 21) უსუფოუნაშვილი რაფაელ, 22) ფოჩაქაშვილი სვიმონ, 23) ქეფთარაძე ანანია, 24) ქიტიაშვილი ზაქარია, 25) ყუფარაძე ბარნაბა, 26) ხიმტარია ალკაი, 27) ჯაბადარი ალექსანდრე, 28) ჯაყელი ნიკოლოზ, 29) ჯალიაშვილი რაფაელ. კანდიდატებად: 1) ბასილაძე ტროფიმე, 2) გეჩეხლაძე ფელიტონ, 3) გორგილაშვილი რაფაელ, 4) ეგნატაშვილი ალექსანდრე, 5) ესაიანელი ტიგრანი, 6) თათარიშვილი თომა, 7) სარაჯიშვილი ი. ვ. 8) ხიბარულიძე ნოე, 9) ძგველავი ალექსადრე, 10) ჯანელიძე გიორგი.

პირველი ყრილობა პალატის წევრთა

დანიშნულია 1919 წ. 4 მაისს, დილის 11 საათზე ქართ. ვაჭარ-მრეწ. კავშირის ბინაზე. ფრეიბერის ქ. № 11. განსახილველი საგნები: 1) ბოსტნეულნი; 2) ხარჯთაღრიცხვა; 3) არჩევა პალატის კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრთა და კანდიდატთა. თანახმად პალატის წესდების მე-37 ნ.-ისა, საზოგადო კრება კანონიერია თუ მას დაე წოო პალატის წევრთა არა ნაკლებ ორი მესამედისა. თუ კრებას ორი მეკამედი არ დაესწრო, მეორე კრება ინიშნება ოცდა ოთხი საათის შემდეგ და იგი ითვლება კანონიერათ, რაც-�ᲗᲐᲜᲓᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲓᲐᲢᲘ ᲐᲠᲐᲐᲠᲘᲡ ᲠᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲔᲡᲬᲠᲝᲗᲐ ᲛᲐᲡ. 748 3—1

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲝᲞᲔᲠᲐ.

ᲡᲐᲠᲗᲝ ᲞᲘᲠᲘ.

ᲙᲕᲘᲠᲐ, ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ 27, დილის სამᲐᲗᲘᲡᲘᲡ ᲝᲠᲐᲖᲔ

ᲨᲕᲘᲓᲘ ᲗᲘᲗᲐ, ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲙᲣᲭᲘ, ᲙᲐᲢᲐ, ᲗᲘᲗᲐ, ᲪᲘᲪᲐᲠᲘ

ᲡᲐᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲭᲕᲘᲡᲐᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘᲗ **ᲯᲐᲜᲘᲗ** ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲔ ᲞᲐᲣᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲕᲐᲚᲙᲣᲒᲘᲘᲡ ᲦᲐᲛᲔ

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ 29, ᲙᲘᲠᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲮᲘᲠᲘᲗ ᲥᲐᲚᲘᲡ **Მ. Ხ. ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲐᲡ** მონაწილეობით **ᲙᲐᲠᲗᲕᲘᲜᲘ.** ოთხშაბათს, აპრ. 30, გამოსამშვიდობელი სპექტაკლი და ბენეფისი ტ. ი. აბაშიეფისა **ᲥᲘᲜ ᲑᲐᲢᲐᲠᲤᲚᲘᲗ.** ხუთშაბათს, მაისის პირველს, სასეირნო ოქმის გამო, დავიდოვას მონაწილეობით **ᲑᲘᲕᲐᲠᲘᲐᲚᲘᲗ ᲓᲔᲚᲘᲐᲜᲘ** და აპოთეოზი. როზინასს პარტიას შესრულებს მ. ხ. დავიდოვა. შაბათს, მაისს 3, ნ. ბ. ტაბენცკის ბენეფ. **ᲛᲔᲣᲜᲘᲔᲠᲘ ᲔᲚᲔᲜᲐ.**

ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲯᲐᲕᲐᲮᲔᲗᲘ

ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲡ, ᲣᲙᲐᲢᲠᲘᲚᲝ ᲝᲒᲚᲔᲒᲘ ᲙᲣᲠᲡ ᲘᲔᲮᲝᲕᲜᲔ.

მოქალაქენო, მოიხადეთ თქვენი მოვალეობა, გაიღეთ თქვენი წვლილი, გაუწოდეთ ძმური ხელი ტანჯულ ძმამეთ,

შემოწირულება მიიღება მოსხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტის ბინაზე, გოლოგ. პრ. ქ. № 24, ყოველ დღე დილის 11—2 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.

მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტი.

ᲓᲐᲘᲒᲔᲯᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ 1918 ᲬᲚᲘᲡᲐ

ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ ᲡᲐᲯᲝᲓᲝᲤᲘᲪᲘᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ.

კრებულს დართული აქვს ქრონოლოგიური ნუსხა შიგ მოთავსებულ კანონებისა, რომელშიც აღნიშნულია დრო კანონის მიღებისა და გამოქვეყნებისა, და აგდეთვე ვრცელი საგნობრივი სარჩევი. შეიცავს 300 მდე გვერდს დიდის ფორმატისას.

წიგნი ღირს—30 მან., სხვაგან გაგზავნით—33 მან. საწყობი იმყოფება იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილებაში, სასამ. დაწერ. შენობაში, სასამართლოს ჭიშკარზედ.

ამ დღეებში დარიგდება გასასყიდად **„თამასუქის წესდება“**, თარგმნილი და შედგენილი ა. მ. ახალაშვილის მიერ. წესდებას დართული აქვს თამასუქის სამაგალითო ნიმუშები, საგნობრივი სარჩევი და რუსული და უცხო ქვეყნის სათამასუქო სიტყვების ლექსიკონი. 714. 6—3.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ᲐᲪᲮᲣᲠᲔᲑᲡ Ბ. ᲐᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲑᲘᲡ, რომ ბანკის უმაღლესად დამტკიცებულ წესდების მე-54 და 55 §§ თანახმად, ბანკის აქციონერთა წლიური საზოგადო კრება დანიშნულია კვირას 25 მაისს, დილის 10 საათზე, ბანკის ბინაზე ტბილისში ქ. ტფილისში. განსახილველი საკითხები: 1. ბანკის წლიური ანგარიშის დამტკიცება და 1917 წ. მოკიბნა გაანაწილება. 2. ბანკის 1918 წ. წლიური ანგარიშისა და 1919 წ. ბარჯოალრიცხვის განხილვა სარეიზო კომისიის დასკვნით. 3. ბანკის ახალი განყოფილებათა გახსნა და 4. მიმდინარე საკითხები.

ბანკის წესდების მე-51 § თანახმად საზოგადო კრებაზე დასწრება შეუძლია ყველა აქციონერს, მაგრამ გადადაწყვეტი ხმა აქვს მხოლოდ იმ აქციონერს, რომელსაც აქვს არა ნაკლები 25 აქციისა. კრებაზე ძონაწილეობის მისაღებად აქციების პატრონებმა უნდა წარმოადგინონ ბანკის გამგეობაში 7 დღით მაინც ადრე კრებამდე,—ნამდვილი აქციები ან საკრედიტო საზოგადოების სათანადო მოწმობები.—წესდების მე-52 § თანახმად საზოგადო კრებაზე დასწრება შეუძლია აქციონერს პირადათ, ან რწმენაგულის სახით, ამასთანავე რწმუნებულთათა შეიძლება იყოს მხოლოდ აქციონერი. ხმის მისაცემათ ვეკილთა უნდა იყოს წერილობითი, რომელიც წარდგენება ბანკის გამგეობას არა უგვიანეს სამი დღისა საზოგადო კრებამდე. აქციების მიღება შეუძლება ღამ 1 საათზე, 1919 წ. მაისს 17-ს. წესდების მე-66 § თანახმად, საზოგადო კრება კანონიერათ ჩაითვლება, როცა მას დაესწრებიან აქციონერები პირადათ ან რწმენაგულის სახით, რომელნიც წარმოადგენენ საერთოთ ძირითადი თანხის არა ნაკლებ ერთი მეხუთედისასა. თუ კრებამ არ დაიმაყოფილა აღნიშნული პირობები, მეორე საზოგადო კრება დანიშნულია 1919 წ. ივნისის 8 ს, ღილის 11 საათ., იმავე ბინაზე. ეს კრება კანონიერათ ჩაითვლება მიუხედავად წარმოდგენილ აქციების რაოდენობისა. 747

ᲡᲐᲥᲐᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ-ᲡᲐᲠᲬᲧᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲥᲐᲚᲔᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲗᲕᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲗᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲐᲠᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ.

1. ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲐᲮᲘᲡᲒᲐᲜᲘᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲥᲐᲚᲔᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲗᲕᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲐᲠᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲘᲚᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ.

2. ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ ᲔᲡᲘ ᲨᲔᲓᲘᲡ ᲫᲚᲐᲨᲘ ᲓᲦᲔᲓᲐᲜ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲐᲠᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲘᲚᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡ.

1919 წ. აპრილის 17-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლიმბათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ᲔᲗ. ᲒᲔᲒᲔᲫᲙᲠᲘ.

—

ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ

ᲐᲛᲘᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲑᲝᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲒᲠᲫᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

1. ნება მიეცეს მთავრობას გამოსცეს საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისოთვის ამირ კავკასიის ბონები კიდევ ასი მილიონი მანეთისა.

2. შესაფერი თანხა გამოიცეს სომხეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკებისათვის და მიეცეს მათ,-როცა დასახელებულ რესპუბლიკათა მთავრობანი შესაფერ ხელშეკრულობას დადებენ საქართველოს მთავრობასთან.

ᲐᲖᲔᲠᲑᲔᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲠᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲔᲡᲬᲠᲝᲗᲐ ᲛᲐᲡ. 748 3—1

ᲡᲐᲙᲐᲗᲔᲚᲝᲙᲝᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐᲡ

ᲝᲣᲠᲘᲡᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲚᲘ

ᲐᲚᲐᲒᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐ

თვიური გასამრჯელო ათასი (1.000) მანეთი. ოხრენები მიიღება საკათალოკოსო საბჭოში 1919 წლის მაისის პირველამდე. 531 3—2

ᲐᲒᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

№ 7—8

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲡᲢᲘ“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ-ᲡᲐᲠᲬᲧᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲥᲐᲚᲔᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲗᲕᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲗᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲐᲠᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲘᲚᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ.

1. ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲐᲮᲘᲡᲒᲐᲜᲘᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲥᲐᲚᲔᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲗᲕᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲐᲠᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲘᲚᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ.

2. ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ ᲔᲡᲘ ᲨᲔᲓᲘᲡ ᲫᲚᲐᲨᲘ ᲓᲦᲔᲓᲐᲜ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲐᲠᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲘᲚᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ.

1919 წ. აპრილის 17-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლიმბათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ᲔᲗ. ᲒᲔᲒᲔᲫᲙᲠᲘ.

ᲒᲐᲜᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ-ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ.

2 აპრილი, 1919 წ.

№ 10.

ᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲜᲐᲗ: ᲤᲝᲩᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲭᲝᲨᲘ: ᲒᲘᲛᲘᲗ ᲖᲔᲓᲐᲛᲘᲬᲔᲕᲘᲗ ᲓᲘᲓᲝᲜᲘᲡ-ᲣᲛᲦᲠᲝᲩᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲜᲐᲓᲠᲘᲒᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲭᲝᲗᲐ ᲒᲐᲜᲯᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘᲐ-ᲒᲘᲛᲘᲗ ᲖᲔᲓᲐᲛᲘᲬᲔᲕᲘᲗ ᲓᲘᲓᲝᲜᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲛᲘᲬᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲒᲠᲫᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲡᲐᲑᲐᲭᲝᲨᲘ: ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲭᲝᲡ ᲛᲓᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲘᲜᲟᲘᲜᲘᲠᲘ ᲙᲘᲚᲘᲪᲔᲠᲘᲐ-ᲛᲔᲠᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲜᲐᲓᲠᲘᲒᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲭᲝᲨᲘ: ᲤᲝᲩᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲭᲝᲡ ᲛᲝᲚᲐᲠᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘ ᲒᲐᲛᲔᲒᲘᲗ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲜᲐᲗᲔᲑᲐ ᲤᲝᲩᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲭᲝᲨᲘ ᲛᲝᲮᲚᲔᲚᲘᲗᲐ ᲨᲢᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲫᲔᲚᲘᲔᲠᲚᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲭᲝᲨᲘ: ᲐᲛᲐᲒᲘ ᲡᲐᲑᲐᲭᲝᲡ ᲛᲓᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲯᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲜᲐᲓᲠᲘᲒᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲭᲝᲨᲘ: ᲤᲝᲩᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲭᲝᲡ ᲛᲝᲚᲐᲠᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘ ᲒᲐᲛᲔᲒᲘᲗ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲜᲐᲗᲔᲑᲐ ᲤᲝᲩᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲭᲝᲨᲘ ᲛᲝᲮᲚᲔᲚᲘᲗᲐ ᲨᲢᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲫᲔᲚᲘᲔᲠᲚᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲘᲠᲘᲪᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲭᲝᲨᲘ: ᲛᲗᲐᲒᲐᲠᲘ ᲡᲐᲑᲐᲭᲝᲡ ᲛᲓᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲣᲛᲑᲘᲚᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ 1 თებერვალიდან 1919 წლისა.

ყველა ზემოაღნიშნული პირნი დანიშნულნი არიან 1აპრილიდან 1919 წ.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი **ᲙᲐᲓᲔᲓᲚᲐᲫᲔ.**

მთავარი სამაგოს გამგე **ᲛᲘᲭᲐᲫᲔ.**

ოფიციალური ნაწილი

სახალხო განათლების სამინისტროში

ცირკულიარი დაბალ სასწავლებელთა მთავარ გამგის ერობისა და ქალაქის თვითმართველობებს და სახალხო სკოლების ინსპექტორებს მოწაფეთა დათხოვნის შესახებ.

დაბალ სასწავლებელთა მთავარ გამგის ბ. ა. გ. ქუჩბერიძის განკარგულებით დაეგზავნა ცირკულიარი ერობისა და ქალაქის თვითმართველობებს, და სახალხო სკოლების ინსპექტორებს, რომელშიც იგი ატყობინებს ხსენებულ ორგანიზაციებს, რომ დაბალ სასწავლებლებში საზაფხულო არდადეგებისათვის მოწაფენი უნდა დაითხოვონ 31 მაისს. მოწაფეთა კლასიდან კლასში გადაყვანა და მათთვის სასწავლებლების გათავების მოწმობის მიღება უნდა ხდებოდეს წლიური ნიშნების მიხედვით და უეგზამენოთ. 1 იანვრიდან 15 ივნისამდის თვით სასწავლებელში, მასწავლებელთა ხელმძღვანელობით უნდა ხდებოდეს, სუსტ მოწაფეებთა მეცადინობა, რისთვისაც ყოველ კერძო შემთხვევაში შუამდგომლობა უნდა იქნეს აღძრული განათლების სამინისტროს წინაშე. ხსენებულ ხნის განმავლობაში სავსებით უნდა გამოირკვეს მოწაფის მომზადება მისი შემდეგ კლასში გადასაყვანათ ან იმავ კლასში დასატოვებლათ. აგრეთვე 1 იანვრიდან უნდა მოეწყოს ახალი მოწაფეების მიღება სასწავლებლებში. ხოლო 15 ივნისიდან სასწავლებლებში სავსებით უნდა შესწყდეს სწავლა-მეცადინეობა.

სოხუმის რეალურ სასწავლებელში.

სოხუმის რეალურ სასწავლებლის დირექტორს ნება მიეცა სასწავლებლის ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში, მოუმატოს მოწაფეთა სწავლის ფულს 150 მანეთი. წინათ სწავლის ფული ამ სასწავლებელში იყო 200 მან., ხოლო ახლა კი იქნება 350 მანეთი. ხსენებული ზომა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აღნიშნულ სასწავლებელს, მიმდინარე სასწავლო წელს, საერთო არა ნორმალური მდგომარეობის გამო, დეფიციტი, თუ სწავლის ფული მომატებული არ იქნებოდა, ექნებოდა 90.000 მანეთი.

ოზურგეთის ვაჟთა გიმნაზია.

განათლების სამინისტროს განკარგულებით ოზურგეთის საეპარქიო ვაჟთა გიმნაზია და ოთხკლასიანი სასწავლებელი შეერთებულ იქმნა. ხსენებულ შეერთებულ გიმნაზიას დაერქვა სახელწოდებათ ოზურგეთის ვაჟთა გიმნაზია.

ინგლისური ენის შემოღება ბათომის ქართულ გიმნაზიაში.

თანახმად ბათომის ქართული გიმნაზიის დირექტორის ბ. აკ. ფალავას შუამდგომლობისა, ბათომის ქართულ გიმნაზიაში შემოღებულ იქნა ინგლისურ ენის სწავლება. ხსენებულ საგნის მასწავლებლათ მიწვეულ იქნა ქ-ნი ნ. ჩხეიძისა.

სამინისტროს დირექტორის დაბრუნება

განათლების სამინისტროს დირექტორი ბ. ვუკ. ბერიძე ავადმყოფობის შემდეგ, 26 აპრილს, კვლავ დაუბრუნდა თავის მოვალეობის შესრულებას.

მიწათ-მოქმედების სამინისტროში

საჯარო ვაჭრობა ესენტუკის წყალზე.

24 აპრილს მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო სამეურნეო ნაწილში შესდგა საჯარო ვაჭრობა ესენტუკის წყლებზე, რომელიც ინახება სამინისტროს საწყობში 50.000 ბოთლამდე. ვაჭრობაში მიიღეს მონაწილეობა ბევრმა პირმა. ყველაზე მეტი ფასი შეაძლია დ. ე. ქებაძემ. ხელმეორე ვაჭრობა შესდგება 28 აპრილს სამინისტროს ბინაზე, შუადღისას.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბედი.

მიწათ-მოქმედების მინისტრმა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას მისწერა, რომ ის მიწის ნაჭერი ზომით $6^1/_2$ დესეტინა მუშტაიდის ბაღთან და აგრეთვე ალექსანდრეს ბაღში მოთავსებული სამეურნეო საზ. შენობა 273 საჟენი მიწით, რომელსაც აქამდე ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება განაგებდა, ეკუთვნის ხაზინას და ხსენებული საზოგადოება დროებით სარგებლობდა. ეხლა სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს აღნიშნული მამულები სახელმწიფოს სასარგებლოთ გამოიყენოს, ამიტომ მინისტრმა წინადადება მისცა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას 2 კვირის განმავლობაში გაანთავისუფლოს დასახელებული ადგილები.

მამულების მიღება.

მიწათ-მოქმედების სასოფლო - სამეურნეო ნაწილმა მოისმინა თვის უკანასკნელ კრებაზე 23 აპრილს მოხსენება კომისიის თავმჯდომარის მ. ნ. ქარცივაძის სახალხო ფასიან მამულების მიღების შესახებ გორის მაზრის სოფ. სკრაში ფაიდონოვებისა და ავსარქისოვების და მამულების ყოფილ პატრონს ნორმის გამოყოფის შესახებ და დაადგინა: 1) მიმართოს მიწათ-მოქმ. სამინისტროს წყალთა ნაწილს გაგზავნოს ტეხნიკოსი ამ მამულში სარწყავ საქმის მოსაწყობად; 2) ეთხოვოს ბ. ქარცივაძეს ერობის წარმომადგენელთან ერთად დაათვალიეროს ალაგობრივ ამ ალაგის სარწყავი სისტემა და გამოარკვიოს საკითხი, თუ რა სახით განზრახულ სამეურნეოში მიიღებს მონაწილეობას გორის ერობა და ადგილობრივი მცხოვრებნი; 3) გაიგზავნოს ამ მამულში სპეციალისტი ბუღალტერი ანგარიშის საორგანიზაციოთ და მიწათ-მოქმ. სამინისტროს მთავარ ბუღალტერს დაევალოს შეიმუშავოს ანგარიშის შედგენის საერთო სქემა; 4) იზრუნოს საჩქაროდ მამულების გამგისა და ათ მოწაფე მუშისათვის ბინის საშოვნელად და 5) გადაიდოს ათასი მან. ბაღის იარაღის შესაძენათ და ეს სყიდვა მიენდოს ს. მ. ჩოლოყაშვილს.

მიწის შემოერთება.

ამავე ნაწილმა დაადგინა ეთხოვოს თელავის საშაზრო ერობას წინანდლის მამულების გამგის ბ. რამიშვილთან ერთად მიიღოს ზომები თელიანის ძიწის ნაჭრების გადაცვლის შესახებ წინანდლის მამულში.

ღვინის ვაჭრობა.

ამავე ნაწილმა დაადგინა მიეცეს მიწ. მოქ. სამინისტროს კონტრაგენტს ბ. კილაძეს ღვინო 10% დაკლებით ფრანკო სარდაფი ვარციხის მამულში. კონიაკი და შამპანსკი დაეთმოს მას 50% დაკლებით.

საგარეო საქმეთა სამინისტროში

ადერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენელმა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან, მიმართა გარეშე საქმეთა მინისტრს: ვინაიდან საკითხი სადაო ადგილების შესახებ უნდა გადაწყდეს მომავალ კონფერენციაზე, მოხდენილ იქმნას განკარგულება, რათა შეჩერებულ იქმნას სადაო ადგილების საქმეების სომხეთის წარმომადგენლისათვის გადაცემა, რომ ყოველივე გაუგებრობას მომავალში ადგილი არ ჰქონდეს.

დამფუძნებელი კრება

აპრილის 25-ს სხდომა.

კრება იწყება ნაშუადღევის 2-ის ათ წუთზე.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

მდივნობს კ. ჯაფარიძე.

გრ. ნათაძე მოახსენებს კრებას იმ ცვლილებებს, რომელიც შეიტანა სარედაქციო კომისიამ დამფუძნებელ კრების რეგლამენტში ცვლილებები უმთავრესად სტილისტიური და კორექტურულია.

მოქალაქეობის კანონის დამატება.

პავლე საყვარელიძე. (ს. დ.) აღნიშნავს, რომ 1918 წ. ივლისის 16-ის კანონით, რომელიც მიიღო ეროვნულმა საბჭომ ქვეშევრდომობის შესახებ შეიცავს 2 მთავარ დებულებას. სახელდობრ იგი აღიარებს, რომ საქართველოს მოქალაქე არის ყველა მკვიდრი მცხოვრები საქართველოსი. ხოლო მკვიდრად ითვლება იგი, ვინც მიწერილია რომელიმე ადმინისტრატიულ ერთეულს 1914 წლ. ივლისის 19-მდე. ეხლა გამოირკვა, რომ ბევრი ბუნებრივი მკვიდრი საქართველოსი, მსურველი საქართველოს მოქალაქეობისა არ აღმოჩნდა ამა თუ იმ ადმინისტრატიულ ერთეულზე. ამის შესავსებათ საკონსტიტუციო კომისიამ მიიღო დამატება მოქალაქეობის კანონისა.

ამ დამატებით ვაფართოვებთ ქვეშევრდომობის ფარგალს.

ამ დამატებით კანონ-პროექტით საქართველოს მოქალაქეებათ ცხადდებიან ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველნი. ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხო ტომის ხალხში, არა ქართველებში მკვიდრად ცხადდებიან ის მოქალაქენი, რომელთაც 1914 წლის ივლისის 19-დე 3 წელიწადი უცხოვრიათ საქართველოში. ამ კანონის მიღების დღიდან მათ, ვისაც ჰსურთ საქართველოს მოქალაქეობა უნდა განაცხადონ სათანადო თხოვნით თავიანთი სურვილი სასოფლო სასამართლოს ადმინისტრატიულ განყოფილებაში.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ კანონ-პროექტში ჩვენ არ ვეხებით არც ნატურალიზაციის წესს, არც დაბადების, არც ქორწინების და არც განქორწინების წესს. სრული კანონი მოქალაქეობისა, რომელიც შევა კონსტიტუციაში იურიდიულ კომისიას მზადა აქვს შავად და მას ახლო მომავალში წარმოადგენს.

ლეო შენგელაია (ს.-ფ.) აღნიშნავს, რომ ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებულმა ქვეშევრდომობის კანონმა ზიანის მეტი არა მოგვიტანა რა და ეს დამატებითი კანონიც ზიანს მოგვიტანს. ორატორის აზრით წინანდელი კანონი იყო მეტად ცალმხრივი, ხოლო ამ დამატებაში ბევრი რამ არის გაურკვეველი.

ორატორი დიდხანს ლაპარაკობს დამატებით კანონ-პროექტის გაურკვევლობაზე აღნიშნავს, რომ იგი არაფერს ამბობს არც ნატურალიზაციის წესზე, არ ეხება არც ბავშვებს, ჩვენს ტერიტორიაზე დაბადებულთ, არც ქალთა უცხო მოქალაქეებთან შექორწინებას, თუ განქორწინებას და სხვა. ორატორის აზრით ამ დამატებით კანონ-პროექტში არ არის მუხლი, რომ კამათს არ იწვევდეს. ამასთან დამატება მიღებულია ფორმალურადაც, რადგან ამით ჩვენ eo ipso ვღებულობთ ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებულ კანონსაც, თითქოს ეს ჩვენთვის სავალდებულო იყოს.

ორატორი აცხადებს, რომ მისი ფრაქცია ამ კანონ-პროექტს ხმას წინააღმდეგ მისცემს.

პავლე საყვარელიძე უპასუხებს შენგელიას და აღნიშნავს მის კრიტიკულ უმწეობას, რაც მტკიცდება იმით, რომ ოპოზიციის ორატორი ლაპარაკობს იმაზე, რის შესახებაც წარმოდგენილ კანონ-პროექტზე არაფერი თქმულა და რის შესახებაც ცალკე იქნება წარმოდგენილი კანონ-პროექტი.

გრიგოლ გიორგაძე (ს. დ.) ფრაქციის სახელით მოითხოვს, რომ რადგან იურიდიულ კომისიას მზადა ჰქონდა ძირითადი კანონ-პროექტი, სადაც გარკვეულია ყველა ის კითხვები, რომელიც იბადება მოქალაქეობის გარშემო, დამატებითი კანონ-პროექტი დაუბრუნდეს იურიდიულ კომისიას და დაევალოს ხსენებულ კანონ-პროექტის 7-10 დღეში წარმოდგენა.

კანონ-პროექტი უბრუნდება იურიდიულ კომისიას.

100 ათასი მანეთი ხელოვნების კომისიისათვის.

პავლე საყვარელიძე მოახსენებს კრებას, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების წლის თავზე 26 მაისი ხელოვნების კომისიას განზრახული აქვს საზეიმო დღედ აქციოს. მომხსენებელი იმედს გამოსთქვამს, რომ ამ სახელმწიფოებრივ დღესასწაულს, მთელ დემოკრატიის დღესასწაულს ხალხიც დიდ ყურადღებას მიაქცევს, მაგრამ საჭიროა, რომ მას ჩვენც მივაქციოთ ყურადღება და ერთგვარ ტონის მიმცემლების როლში გამოვიდეთ. მომხსენებელი ითხოვს ხელოვნების კომისიის სახელით საჭირო ხარჯებისათვის 100 ათას მანეთს. ორატორი იმედს გამოსთქვამს, რომ ამ დღესასწაულის გამართვაში მონაწილეობას მიიღებენ ქალაქის საბჭო, ადგილობრივი თვითმართველობანი და ერობანი.

ლ. ნათაძე (ს. დ.) ფრაქციის აზრით მხარს უჭერს ხელოვნების კომისიის შუამდგომლობას, მაგრამ მოითხოვს ამ 100 ათას მანეთის შესახებ საფინანსო საბიუჯეტო კომისიის აზრს.

კანონ-პროექტი გადაეცა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

სამხედრო მინისტრის განცხადება.

ნოე რამიშვილი მოახსენებს დამფუძნებელ კრებას, რომ აპრილის შუა რიცხვებიდან საქართველო ორ მიმართულებით აწარმოებს სამხედრო ოპერაციებს: სოჭისა და ართვინის მიმართულებით მიზანი ამ ოპერაციებისა არის სტრატეგიულ პოზიციების დაჭერა. ამ მიზანს ჩვენმა ჯარმა ბრწყინვალედ მიაღწია. ჩვენმა ჯარმა აიღო არტაანი. ბრძოლის დროს ხელთ იგდო 1 ზარბაზანი 18 ყუთი ტყვია, 4 საცხენოსნო გაუბიცა. არტაანის საწყობებში ჩვენ დავვხვდა 33 ზარბაზანი, ტყვია წამალი და სხვა. ჩვენ ჩვენ დაგვხვდა მოგვიკლეს 2 ჯარისკაცი, დავკარგეთ 4 ცხენი, ხოლო დაჭრილია 19 ჯარისკაცი. მტრის ზარალი მეტის მეტათ საგრძნობია. გენერალმა ართმელაძემ სამხედრო ნაწილები წინ წასწია სამხრეთ ოლთისის და ყარსის მიმართულებით. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ის ადგილები, რომლებიც ჩვენ დავიკავეთ, სავსებით უზრუნველგვყოფს სტრატეგიულად. კვლავ წინსვლას არც მთავრობა და არც სარდლობა არ ფიქრობს. რაც შეეხება სოჭის ფრონტს—აქ შეტევა დენიკინის წინააღმდეგ დაიწყო 17 აპრილს 4 საათზე. სახალხო გვარდიის ცხენოსანთა დივიზია ღამით გავიდა მდ. ბზიბაზე. მათ არავითარი კონფლიქტი არ მოხდომიათ იმ პიკეტებთან, რომლებიც ინგლისელებს ჰყავდათ. 2 საათის ბრძოლის შემდეგ ტყვედ ვიგდეთ 88 ოფიცერი და 190 ჯარისკაცი. მოგვიკლეს 2 გვარდიელი. მტერს დააკლდა 87 ჯარისკაცი. საავადმყოფოში აღმოჩნდა 360 ავადმყოფი ჯარისკაცი. 18 აპრილს ჩვენებმა დილით დაიჭირეს მდ. მახადილის ხაზი.

ჩვენი მიზანი მიღწეულია და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ იმ ნაწილებით, რომლებიც ჩვენ იქ გვყავს, შევძლებთ დავიცავთ ჩვენი საზღვრები (ტაში).

შალ. მესხიშვილი (ს. ფ.) წინადადებას იძლევა დამფუძნებელმა კრებამ მადლობა გამოუცხადოს ჯარსა და გვარდიას.

ასეთი წინადადება წერილობით იყო შეტანილი ს. დემოკრატების მიერ ვიდრე ორატორი სიტყვას აიღებდა.

კრება დაიხურა 2 საათსა და 20 წუთზე.

სამთო-მადნო წარმოება საქართველოში *)

გეოლოგიური გამოკვლევანი.

გეოლოგიური გამოკვლევით სამთო სამმართველოს მიზნათ აქვს ხელი შეუწყოს სამთომრეწველობის განვითარებას, რისთვისაც იგი იკვლევს, როგორც თვით მადნის ღირსებას, აგრეთვე მის მდებარეობის სახის რაოდენობას, ექსპლოატაციის პირობებს და სხვა. შემდეგ ამ ცნობებს აქვეყნებს სპეციალ ჟურნალში ან ცალკე გამოცემებში მრეწველების საყურადღებოთ. ამნაირათ სახელმწიფო აძლევს რა წინასწარ გამოკვლევებს თავის ხარჯით უკაფავს გზას და უადვილებს მრეწველთ დაწყებას და გაძლიერებას სამთო-წარმოებისას, რაიც მომავალში ქვაკუთხედათ უნდა დაედოს ჩვენს სახელმწიფო ბიუჯეტს ისე, როგორც ეს ხდება სხვა ასეთივე ბუნებით მდიდარ ევროპის სახელმწიფოებში. ამ გამოკვლევათ აქვთ აგრეთვე სხვა მიზანიც. მის შემწეობით შეიძლება შესწავლა საკუთარი ბუნების სიმდიდრისა და გაცნობა მათი უცხოელებისათვის.

ტყიბულის მადანი.

თუმცა ტყიბულის მადანი ცნობილია თავის სიმდიდრით არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერ-კავკასიაში, როგორც ერთათ ერთი მკვირივი სათბობი მასალა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს აწმყოში და უფრო უდიდესი მომავალში, მიუხედავათ ამისა არც ფენების მდებარეობა და არც მათი ქიმიური ღირსება არ არის სისტემატიურათ გამოკვლეული. არ არის, არც ფენების ტოპოგრაფიული რუქა, არც აღწერა სათითაო ნახშირის ფენისა და სხვა. ამ რუქის გამოსაცემათ და გამოსაკვლევათ იყო მოთხოვნილი კრედიტი 49,500 მან.

მიზანს რუქის გამოცემისას შეადგენს: ა) გამორკვევა მადანის ფენის სიგძისა და გამორკვევა ქვა ნახშირის რაოდენობისა ბ) დასურათება მადნის მდებარეობის ხასიათისა და მიდამოების ტოპოგრაფია იმ მიზნით, თუ რამდენათ შესაძლო არის და სად არის საჭირო ახალ მუშაობის დაწყება და გ) გამორკვევა სხვა და სხვა მასალის მეტადრე წყლის გამოსავლისა რომელიც საჭირო იქნება ამოღებულ მაღაროების ამოსავსებათ სველი მეტოდით. ინჟ. ალ. კ. კონიუშევსკიმ თანახმათ სამთო-სამართველოს დავალებისა გეოლოგიურათ გამოიკვლია ტყიბულის ქვანახშირის მიდამოები და ტოპოგრაფმა ბ. გოლობდოვსკიმ შეადგინა ამ მიდამოების პლანი 200 საჟენიან მასშტაბით დიუიმში, რაც დაახლოებით 20 კვ. ვერსის სივრცეს შეიცავს. ეს პლანი ჯერ-ჯერობით მთლათ არ არის დამთავრებული და დღეს დღეობით იუშავდება. გამოკვლევამ გამოარკვია დასავლეთის მხრივ საზღვარი იმ ალაგისა, სადაც ნახშირი არსებობს. გამოკვლევამ ცხად ჰყო გეოლოგიურ კავშირის არსებობა ტყიბულის და გელათის ქვანახშირიანი ადგილების შორის და აგრეთვე სოფ. შროშის მიდამოების ქვანახშირის პრაქტიკული მნიშვნელობა ამ უკანასკნელ ალაგში აღმოჩენილ ქვანახშირისა საეჭვოა, ვინაიდან ფენები პატარებია და არც თანაბარი დონისა არიან. უფრო იქით საჩხერის მიმართულებით ნახულ ქვანახშირთან სწყდება გეოლოგიური კავშირი.

საჩხერის მიდამოებში გამოკვლევამ ცხად ჰყო, რომ ამ ალაგების ქვანახშირს მარტო ალაგობრივი პრაქტიკული მნიშვნელობა თუ შეიძლება ჰქონდეს. ამ ხანათ უკვე სწარმოებს ქიმიური მუშაობა სამთო სამმართველოს ლაბორატორიაში ამ მადნის ფხვნილისა. ალაგობრივ მუშაობით გამოირკვა, რომ ფხვნილი რასაც წინათ ჰყრიდნენ მშვენივრად ირეცხე-

---

*) იხ. „საქ. რესპ." № 87, 90.

ბა ტყვიბულის წყლით. ამნაირად გარეცხილი ფხვნილი შეიცავს $12^{1}/_{2}$ პროცენტ ნაცარს. შემდეგში უთუოდ საჭირო იქნება ქარხნის აგება ფხვნილის სისველით გასამდიდრებლათ, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ახალ ქვანახშირიანი ალაგების ექსპლოატაციისათვის, როგორაც ყოფილ ბოგაჩის ალაგისას, ისე „ნახშირა დასავლეთისას“.

განზრახულია სცადონ ტყიბულის ქვანახშირიდან კოკსის მიღება ხროვებით.

რაც შეეხება ამოღებულ ფენების სველი მეთოდით ამოვსებასა, გამოირკვა, რომ გვალვიან წელიწადს იმედების დამყარება მარტო ტყვიბულის წყაროზე არ შეიძლება, რომ საჭირო იქნება უფრო შორს წყაროების მოძებნა და მოკრება. ამასთანავე მასალის მისაღებათ ასეთი საქარხნო წარმოებისათვის საჭირო იქნება გამართვა სანაყ-სამტვრევი მოწყობილებისა, უმთავრესათ მასალას კი მოგვცემს ქვიშნარები ჭურის ფერდებისა. როდესაც შეისწავლება და საბოლოოდ დამუშავდება უკეთ მასალები, მაშინ შეძლება მოგვეცემა გამოვარკვიოთ და აღვნიშნოთ გეგმა მუშაობისა ჯერ კიდევ ხელშეუხებელ ტყიბულის ქვანახშირიანი ადგილებისა.

შემდეგ, რადგან საჭირო იყო აგრეთვე გამოკვლევა იმისა, თუ რანაირათ შეიძლება გამოყენება ზემოხსენებულ ნახშირისა და აგრეთვე გადამუშავება იმისი კოკსათ, გარდა ამისა, რადგან ეს საკითხი წარმოადგენდა დიდ ინტერესს ტეხნიკურ პრაქტიკულ მხრივ (სათბობი ძალა ორთქლმავლებში, სპეციალი მოწყობა ფორსუნკებისა, ფაბრიკებისა და კერძო ბინებზე და სხვ.) სამთო სამმართველომ მოითხოვა გადასცემოდა განსაკუთრებულ კომისიას შემდგარს რკინის გზის ტეხნიკოსებისაგან და ტეხნიკური საზოგადოებისაგან. ამ კომისიაში მიწვეული იყო სამთო სამმართველოს წარმომადგენელიც ხოლო მუშაობა კომისიისა არ ყოფილა ნაყოფიერი, ყოველშემთხვევაში მისი შედეგები არავინ არ იცის.

მეთვალყურეობა ამ მადნისა სამთო სამმართველომ რაციონალურ პირობებში ჩააყენა.

საანგარიშო ხანის დასაწყისში ტყვიბულში მუშაობდა ორი ორგანიზაცია: სამხედრო უწყება და საგანგებო ნახშირის კომისია სამხედრო-სამრეწველო კომიტეტთან. სამთო სამმართველომ იცოდა თუ რა ტეხნიკური დეფექტებით მუშაობდენ, როგორც საზ. „ნახშირა“, აგრეთვე სამრეწველო კომიტეტი და რა საფრთხეს წარმოადგენდა მომავალისათვის ასეთი მუშაობა, რომელიც უქადდა მთელ მაღაროებს დანგრევას და ნახშირს ცეცხლის გაჩენას და ამიტომ ივნისის პირველ რიცხვებშივე გაგზავნა მან თავისი კომისია მაღაროების დასათვალიერებლათ და მაღაროების ადმინისტრაციასთან ერთად მუშაობის გეგმის შესადგენათ ნახშირის და მაღაროების ხიფათისაგან გადასარჩენათ.

შემდეგ კიდევ დასჭირდა სამთო სამმართველოს სპეციალი კომისიის გაგზავნა 1919 წ. იანვარში, რადგან იცოდა, რომ მაღაროებს ახალი მწარმოებელნი—მომარაგებელი კომიტეტი და შემდეგ გზათა სამინისტროც არ ასრულებდენ შემუშავებულ გეგმას და მაღაროებს კიდევ მოელოდა საფრთხე. მეორედაც შედგენილ იქმნა შესაფერისი ოქმი და გეგმა მომავალი მუშაობისა მოსალოდნელი ხიფათის ასაშორებლათ. შემდეგში ჩვენ აღვნიშნავთ ნავთის წარმოების საქმეს.

მუსიკა

ქალთა წრე ქართ. სამუს. საზ-ბისა.

ამ ახლო მომავალში ქალთა წრე მართავს სახელმწიფო თეატრში ქართულ სამუსიკო საზოგადოების სასარგებლოდ საღამოს.

ქალთა წრე იმუშავებს არა ჩვეულებრივ პროგრამას, რასაც ამ დღეებში გამოაქვეყნებს.

საერთოდ, ქალთა-წრე მუყაითად ეკიდება მუსიკის განვითარებას და იმედი გვაქვს პროგრამა მათი საღამოსი ძალიან საყურადღებო იქნება ჩვენი საზოგადოებისათვის.

უცხოეთში

(საქართ. დეპ. სააგ.)

გერმანული პრესა.

გერმანიის წარმომადგენლების 25 აპრილისთვის ვერსალში მოწვევა გერმანიის მთავრობამ ბერლინში შაბათს დილით მიიღო, დროებითი ზავის გერმანიის კომისიის საშუალებით. მოწვევის ნოტა დაწერილია კლემანსოს სახელით ფრანგულ ენაზე. არ გამართლდა ხმები, ვითომ ნოტა საზავო პირობათა ნაწილს შეიცავს. ნოტის მიღებისთანავე შესდგა კაბინეტის სხდომა პასუხის შესამუშავებლათ. ამ თათბირის გადაწყვეტილება ჯერ არ გამოქვეყნებულა.

ლიონის რადიოსადგური იუწყება: გერმანიის ფინანსიურმა დელეგაციამ ლილეტში ის აზრი გამოსთქვა, რომ მცირე ცვლილებათა გარდა არ არის მიზეზი, რის გამოც წარმოდგენილი ზავი არ უნდა იქნეს მიღებულიო. ეს ცნობა სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს.

საფრანგეთის საპასუხო ნოტაში ნათქვამია, რომ გერმანიის დელეგატების მოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილი იქნება. ბერლინის გაზეთების ცნობით გერმანიის დელეგაცია ორშაბათს, აპრილის 28 გაემგზავრება. აღნიშნავენ, რომ ნოტა შინაარსით და ენით განირჩევა წინა ნოტისაგან, მაგრამ მასში არაფერია ნახსენები მოლაპარაკების შესახებ. „ფორვერტსი“ ამბობს, გაჩუმება თანხმობის ნიშანია, რადგან მოლაპარაკება დელეგაციის გაგზავნამდე უნდა მომხდარიყოო. გაზეთი ერთხელ კიდევ აღნიშნავს, რომ გერმანია მზათაა საჭირო მსხვერპლი გაიღოს ვილსონის პრინციპების განსახორციელებლათ და მტკიცე ზავის შესაკვრელათ, მაგრამ გერმანიის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, ეცადოს რომ გერმანელებს არ წაართვან თვითგამორკვევის უფლება და ფიზიკურ არსებობის საშუალება და რომ წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მთელი მსოფლიოს სინიდისს მიმართავს იმ ძალადობის გამო, რომელსაც ამ ჟამათ ადგილი აქვს ჩვენი არსებობის უფლებაზე. ჩვენ ვიბრძვით ვილსონის პრინციპებისთვის არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესების სასარგებლოთ.

ეროვნულ კრებისა ზავის კომისიის უახლესი სხდომა უნდა შესდგეს ბერლინში მაისის 2.

საალყო წესების გამოცხადების შემდეგ დახურეს უკიდურესი რადიკალური გაზეთი „რესპუბლიკა, რომელიც სისტემატიურად აწარმოებდა ხალხის გაღიზიანების და ერთმანეთზე მისევის პოლიტიკას.

რურის ოლქში გაფიცვა თან და თან სუსტდება, მაგრამ მოსალოდნელია ახალი გაფიცვები. განსაკუთრებით დიუსელდორფში, რადგანაც მრავალი მუშა ჯამაგირის დაკარგვის გამო დიდ გაჭირვებაშია.

ყოფილ საქსონიის სამეფოს ტერიტორიაზედ ცენტრალურმა მთავრობამ საქსონიის მთავრობის წინადადებით საალყო წესები გამოაცხადა. ცენტრალურ მთავრობის საქსონიის შინაურ საქმეებში ჩარევა არ არღვევს დროებითი კონსტიტუციის დებულებას, სადაც ნათქვამია, რომ ცენტრალურ მთავრობას შეუძლიან ზოგიერთი ზომები მიიღოს თავისუფალ შტატებში, თუ უკანასკნელთა მოქმედება სახელმწიფო კანონებს ეწინააღმდეგებიან. ლეიპციგში და „პლაუენის“ ველზე, დრეზდენის ახლო, მდგომარეობა საშიშია.

გერმანიის სხვა და სხვა ნაწილში გამართული დემონსტრანციების ხასიათი იმას მოწმობს, რომ გაიზარდა მოძრაობა გერმანელებით დასახლებულ ოლქების ჩამოშორების წინააღმდეგ. დანციგის მეუმრავლესე სოციალისტებმა ყველა ქვეყნის სოციალისტებს მიმართეს, რომ არ დაუშვან გერმანიაზე ძალადობა.

დანტიგის მოხალისე ჯარებისადმი მიმართულ სიტყვაში: ეროვნულ თავდაცვის მინისტრმა ნოსკემ განაცხადა: „უაზრობა იქნება მოხალისეთა ჯარი ან ეროვნული გვარდია მუშებისათვის ან მოპოებულ თავისუფლებისათვის საშიშოთ ჩასთვალონ. ყოველგვარი საშუალებით დავიცავ ჯარს, თუ მას მოევლინება საფრთხე ბოიკოტის ან სხვა რაიმე სახით. მთავრობას შეუძლიან დაენდოს ახალ ჯარს, რომლის შემწეობითაც აღდგენილ იქნება წესრიგი და მშვიდობიანობა.

მოსკოვი, აპრ. 24. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

მინსკი, აპრ. 24. ლიტვის და ბელორუსის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭომ შემდეგი ბრძანება გამოუშვა: სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით სამოქალაქო და სამხედრო ძალა-უფლება ლიტვის და ბელორუსის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს ხელში გადადის. რესპუბლიკის მოქალაქენი იცავენ წესრიგს და სიწყნარეს.

ოდესა, აპრილის 22. ოდესაში მოდის ფორთოხლით, ლიმონით, თათრულ თუთუნით და ინგლისურ თამბაქოთი დატვირთული ოსმალური ნავები.

ოდესა, აპრილის 24. გენერალმა ანსელმიმ 19 აპრილს აკერმანი დასტოვა. აკერმანის ევაკუაცია გრძელდება. რუმინელები დნესტრზე სატრანსპორტო მასალებს ანადგურებენ.

ოდესა, აპრილის 24. უკრაინის საბჭოთა ჯარმა აიღო ბენდერი. რუმინელები გარბიან.

მოგილევი, აპრილის 24. პოდოლიის გუბერნიის ჩვენ მიერ დაჭერილ ადგილებში მიწის დამუშავება დაიწყეს. ყველა მემამულების მიწები დაიყო ღარიბ გლეხთა შორის, რომელნიც ამუშავებენ ამ მიწას.

სევასტოპოლი, აპრილის 24. ფრონტიდან გამოჩნდა ავტომობილი წითელი დროშით, რომელსაც მცხოვრებნი აღფრთოვანებით შეხვდნენ.

რიგა, აპრილის 23. ჩვენს მხარეზე გადმოსულთა ცნობებით მარიენბურგში თეთრგვარდიელების დამარცხების შემდეგ, ახლად შეკრებილ თეთრგვარდიელების და ტყვეების სულიერი განწყობილება მძიმეა. რუენის რაიონში თეთრებმა გამოჰკიდეს წითელი დროშა და ჩვენი წარმომადგენელი შიიწვიეს მოსალაპარაკებლათ ბრძოლის შეწყვეტის შესახებ.

კიევი, აპრ. 24. სამხედრო ცნობა. სადგურ შეპეევკასთან ჩვენი ჰაეროპლანი მოწინააღმდეგის ბანაკს უშენდა. ჩამოაგდო 4 ყუმბარა, რამაც გამოიწვია ცეცხლის გაჩენა. ვოლოჩისკთან ჩვენ მხარეზე გადმოვიდა 17 გალიციელი შეიარაღებული ვინტოვკებით და ორი ტყვიის მფრქვეველი. დნესტრის მარცხენა ნაპირი რიბნიციდან შესართავამდე გადასასვლელით ჩვენს ხელშია. პეტლიურას ჯარმა დნეპრის იქით დაიხია, ერთ ნაწილს რუმინელებმა იარაღი აჰყარეს, მეორე ნაწილი გალიციაში შეიჭრა. ბენდერთან მოწინააღმდეგის უკან დახევის შემდეგ ჩვენ ხელთ ვიგდეთ 24 ზარბაზანი, 14 მატარებელი, 6.000 ყუმბარა, 100.000 ტყვია, 3.000 ვინტოვკა, 6 ავტომობილი და სხვა მრავალი ქონება. პეროჩინის მიმართულებით, 4 საათის ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავიჭირეთ სოფელი ნოვომიხაილოვკა და სადგური ვლადისლავოვკა. 22 აპრილს ორი ნაღმოსანი ინგლისელების დროებით ჩვენ თხრილებს უშენდა, დიდი ზარალი არ მიუყენებია. მარიუპოლის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით აიღო მანგუში, კალჩიკი და ვოლნოვახა. ოდესაში საქართველოს წარმომადგენელმა მოლაპარაკება დაიწყო უკრაინის, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის და საქართველოს შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის მოწესრიგების შესახებ.

სიმფეროპოლი, აპრ. 25. წითელმა ჯარმა თეოდოსია დაიჭირა.

კიევი, აპრ. 23. ოდესაში 20 აპრ. რაკოვსკი და ანტონოვი მოვიდა. რაკოვსკიმ მიტინგზე ილაპარაკა. მიესალმა მუშებს, რომელთაც ქალაქი გაანთავისუფლეს. 15 მაის კომუნისტურ ბუნდის დროებითი კომიტეტი იწვევს სრულიად უკრაინის კონფერენციას.

ინგლისური პრესა

მტრული მოქმედების შეწყვეტის წინ ავსტრია-უნგრეთმა ითხოვა ზავი 14 პუნქტების საფუძველზე, მაგრამ ვილსონმა უპასუხა, რომ ეს თხოვნა ნაგვიანევია, რადგან მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა.

ლოიდ ჯორჯმა ორლანდო ინახულა. ამას მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა: იტალიელებმა განაცხადეს, მათ არ შეუძლიათ დაიჯერონ, რომ ლოიდ ჯორჯმა და კლემანსომ ვილსონის წინადადება მოიწონონ.

ხუთშაბათს, ორლანდომ თავისი გრძელი მოხსენების წაკითხვის დროს სთქვა, რომ არ შეიძლება ვილსონის აზრის გაზიარება, რადგან იგი ეწინააღმდეგება 14 პუნქტის განხორციელებას სხვა შემთხვევაში, როგორც მაგალითად, საარის ოლქის, ზღვების თავისუფლების და ეკონომიურ შეზღუდვითა საკითხებში. იტალიელები აცხადებენ, რომ ვილსონის წინადადება აღშფოთებას გამოიწვევს იტალიის მცხოვრებთა შორის. ისინიც კი, ვინც აქამდე გულგრილად უყურებდა საქმეს, ეხლა აღშფოთდებიან. იტალიელები ამტკიცებენ, რომ სლოვაკები ატყუებენ ვილსონს და მას კი მიაჩნია, რომ იტალია საქმეს ამწვავებს.

ორლანდოს პასუხი სამთა საბჭომ დღეს დილით განიხილა. ჯერჯერობით იტალიელები კვლავინდებურათ უნდობლათ უყურებდნენ საქმეს. ამბობენ, რომ იტალიელები ლონდონის ხელშეკრულების თანახმათ იქცევიან და ინგლის-საფრანგეთს სთხოვენ სეპარატიული ზავი არ შეკრან გერმანიასთან. თუ იტალიამ თავისი მოთხოვნილებათა დაოვა განაგრძო, ინგლისი და საფრანგეთი იტალიას განუმარტავენ, რომ მან თავი უნდა დაანებოს ფიუმეზე ფიქრს. ამერიკის წარმომადგენლები უ რს ამბობენ ამის შესახებ რაიმე განმარტების მიცემაზე და იმედს გამოსთქვამენ, რომ რამდენიმე დღის შემდეგ საქმე მოგვარდება.

რადგანაც იტალიამ თავისი წარმომადგენლების გაწვევის სურვილი გამოსთქვა, სამთა საბჭომ დაიწყო გერმანიასთან ზავის შეკვრის გამო იტალიის პროტესტის განხილვა და დღიურ წესრიგში აღნიშნული საკითხები შემდეგი სხდომებისათვის გადასდო.

ლოიდ ჯორჯმა და კლემანსომ მოიწონეს ვილსონის მიერ 5 დღის წინათ წარმომადგენელი წინადადებანი. გუშინ საზავო პირობების საბოლოო რედაქციის დროს მათ დაადასტურეს თავისი აზრი, მაგრამ ხელი არ მოაწერეს, რადგან მათ ხელი უწერიათ ლონდონის ხელშეკრულებაზე. იტალიელებმა გაკვირვება გამოსთქვეს. ცნობილია, რომ ორლანდომ პირობები რომში გაგზავნა და ტელეგრაფით პასუხს მოელოდა, რომ მოლაპარაკება შესწყდა. საქმე იმაშია, რომ საზღვარს ტრესტსა და ფიუმეს შუა უნდა გაევლონ ისე, რომ ფიუმე საზღვარს იქით რჩებოდა. ეს იყო რუსეთის სურვილის შედეგი, რადგან მას სურდა, რომ სერბიას და სლოვაკებს გასავალი მისცემოდათ ფიუმესთან.

იტალია თანახმა არაა, რომ სამედიატორო სასამართლო დაინიშნოს ფიუმეს, ნავთსადგურის ნეიტრალიზაციის და სხვა საკითხების შესახებ.

ფიქრობენ, რომ ასეთი ჟინიანობის ნამდვილი მიზეზი ის არის, რომ ფიუმეს შეუძლიან მეტოქეობა გაუწიოს ტრიესტ და იტალიელებს არ სურთ, ფიუმეს განვითარება. იტალიელები თანახმა არ არიან, რომ ფიუმეს საკითხი გადაიდოს და ცდილობენ, რომ ეს საკითხი გერმანიასთან ზავის შეკვრამდე გადასწყდეს. ბედის ირონიაა, რომ იტალია ინგლის-საფრანგეთს პროტესტს უცხადებს გერმანიასთან სეპარატიულ ზავის შეკვრის გამო. ლოიდ ჯორჯის და ორლანდოს შეხვედრის შემდეგ გამოვირკვა, რომ იტალიელებმა გადადვეს ხუთშაბათისთვის დანიშნული წასვლა. ამავე დროს იტალიის მთავარმა შტაბმა გამოაცხადა, რომ სონკინო პარასკევამდე დარჩება. ჯერ გამორკვეული არ არის, რაში გამოიხატება ორლანდოს პოლიტიკის ცვლილება.

გემი „ჯორჯ ვაშინგტონი“ დაზიანების გამო ბრესტიდან მაისის 1 გავა და ამერიკაში მაისის 20 უნდა დაბრუნდეს, თუმცა საეჭვოა, რომ პრეზიდენტი ივნისის 1-დე წავიდეს.

რამოდენამდე გამოიწვია იმან რაც ოთხშაბათს მოხდა ადრიატიკის საკითხის გამო. ამის შესახებ გაზეთები აღნიშნავენ, რომ ისინი, ვინც 1915 წ. იტალიასთან ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს თავისუფანი არ არიან მიღებულ ვალდებულებისაგან და ამიტომ უნდა შეასრულონ იგი, მაგრამ ისინი ყველა იმ აზრისაა, რომ ფიუმეს საკითხის გარშემო შექმნილ გაჭირვებულ მდგომარეობიდან უნდა იქნეს გამონახული გამოსავალი. ასეთ აზრს გამოსთქვამს „ფიგარო“: „საკითხი უნდა გადასწყდეს, რათაც არ უნდა დაჯდეს ეს. შეთანხმების ყველა სახელმწიფოებში მოელიან, რომ სახელმწიფო პირნი ყოველ საშუალებას იხმარენ ამის მისაღწევათ, რადგან ყველა ხალხები ერთად იბრძოდენ საერთო საქმისთვის და ერთად იტანჯოდენ საერთო მტერთან ბრძოლაში. გასაკვირალი და უსამართლო იქნებოდა, რომ მათი წარმომადგენლები ვერ შეთანხდენ გამარჯვების შემდეგ საერთო საქმეების მოსაწესრიგებლათ. „პარიზიენი“ სწერს: „საფრანგეთში ყველა ერთნაირათაა შეწუხებული მომხდარ ამბის გამო. ინციდენტი მოხდა მაშინ, როდესაც ზავის წინაწარი პირობები უკვე გამომუშავებული იყო და უნდა წარდგენოდა იმ 20 სახელმწიფოს ხელმოსაწერათ, რომელთაც გერმანიამ ომი გამოუცხადა.

ფრანგული პრესა.

დღეს დილით ბარსილაიმ ინახულა კლემანსო. რომელმაც თავის მხრით ნახა ლოიდ ჯორჯი, შემდეგ დანიშნული ჰქონდა შეხვედრა ვილსონთან.

მოკავშირეებმა აუწყეს გერმანიას რომ ისინი მისცემენ თავისუფლებას მის წარმომადგენლებს ტელეგრაფით და ტელეფონით ცნობების მიღებაში და აგრეთვე მოძრაობაში. გერმანიის წარმომადგენლებს 1 მაისს მოელიან.

ინგლისის ესკადრა ბრესტში და შერბურგში უნდა მოვიდეს. მეზღვაურები და სარდლები 3 ადმირალი და 150 ოფიცერი პარიზში მოვლენ, რომელთა პატივსაცემათ ზეიმი გაიმართება.

ქრონიკა

◯ 25 აპრილს ერთობის უბანში სახალხო გვარდიელებმა შეიპყრეს 4 საეჭვო პირი და როდესაც კომისარიატში მიჰყავდათ ვინაობის გამოსარკვევად გზაში მათ დააპირეს გაქცევა. გვარდიელებმა აუტეხეს სროლა და 3 მათგანი მოჰკლეს. მეოთხემ დამალვა მოასწრო. მოკლულნი აღმოჩნდენ: რუბენ მარქაროვი, მეორე რაიონის სახალხო გვარდიელი, რომლის ვინაობა ვერ გამოარკვიეს და მე-7-ე კომისარიატის ყოფილი მილიციონერი ვინმე სიმონი. მოკლულთ აღმოაჩნდათ 3 ტომარა და 7 სხვა და სხვა გასაღები.

◯ ორშაბათს, 28 აპრილს, დილის 11 საათზე ფინანსიურ კომისიის ბინაზე შესდგება არაჩვეულებრივი სხდომა, რომლის საგანია საქართველოს ადმინისტრაციის რეორგანიზა-

ციის საკითხი. მონაწილეობას მიიღებენ ერობათა ცენტრალური კომისიის, ქალაქთა კავშირის და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

○ 24 აპრილს საღამოს ექიმ იას. ივ. ბერიშვილს ბინაზე მიხეილის პროსპ. შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ ავათმყოფობის სახელით შევიდა რამდენიმე შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველი და წაართვეს 600 მან. ფულად და 10000 მან. ნივთები ერთ პაციენტთაგანს წაართვეს 700 მანეთი.

○ სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის ცნობით 25 აპრილს ჩოხატაურში გვარდიელებს შეუპყრიათ ინგლისელ ექიმის მკვლელი პაიჭაძე, რომლის ტფილისში ჩამოსაყვანადაც შტაბმა დამცველი რაზმი გაგზავნა ჩოხატურში.

○ ყარსის ოლქის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით ყარსში შესვლა ნება დართულია ყველასთვის.

○ ძველი სტუდენტობის ინიციატორათა ჯგუფი მოუწოდებს რუსეთის სხვა და სხვა უნივერსიტეტების ქართველ სტუდენტობას, შეეკრიბონ კვირას, აპრილის 27, ნაშუადღევის 4 საათზე (ლორის-მელიქოვის ქუჩა სახ. № 1, ძველი სემინარია) ახლო მომავალში ტრადიციონულ საღამოს მოსაწყობად. ყველას დასწრება სასურველია. გთხოვთ გამოცხადდეთ უთუოდ დანიშნულ დროზე.

პროვინცია

○ შრომის კომისარი სთხოვს ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრის ერობებს, რომ ვინაიდგან მთავრობის დაწესებულებებში მოსამსახურენი განიცდიან აუტანელ გაჭირვებას, ამიტომ თანახმად მთავრობის დადგენილებისა, აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება და მიაწოდონ სურსათი შეღავათიან ფასებში.

○ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრატიულ ნაწილის ინსპექტორის თანაშემწემ შემდეგი მოწერილობა დაუგზავნა მაზრის კომისრებს და ქუთაისის და ფოთის მილიციის უფროსებს: ქუთაისის ქალაქის გამგეობამ სცნო, რომ ხშირად სოფლებიდან და სხვა ქალაქებიდან რკინის გზით ქუთაისში ჩამოჰყავთ შავ-სახადიანი ავათმყოფები, რომელნიც მიჰყავთ ქალაქის გადამდებ სენიანთა საავათმყოფოში და როდესაც იქ თავისუფალი ადგილი არაა, მთელი დღეობით ეს ავათმყოფები ვაგზალზე იმყოფებიან, ან სადმე დუქანში აფარებენ თავს. ამგვარად ისედაც გავრცელებული შავი-სახადი კიდევ უფრო ვრცელდება და საზიზღელ ხასიათს იღებს. გაცნობებთ რა ზემოხსენებულს, წინადადებას გაძლევთ მოახდინოთ საჭირო განკარგულება, რათა ქუთაისში არ ჩამოიყვანონ შავ სახადიანი ავათმყოფები. რადგანაც ქალაქის გადამდებ სენიანთა სავაათმყოფო უკვე დიდი ხანია სავსეა ავათმყოფებით და მათი აქ მოთავსება ყოვლად შეუძლებელია იმ დროს, როდესაც ქალაქის მცხოვრებლებისათვისაც უადგილობის გამო სავაათმყოფოს კარები დახურულია.

○ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგეითლო განყოფილება ატყობინებს ქუთაისის საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დამამზადებელ სადგურის გამგეს ფარცვანიძეს, რომ არარატის რესპუბლიკის სავეტერინარო ნაწილის გამგე გვთხოვს შევატყობინოთ: „შეიძლება თუ არა ექიმის გადმოგზავნა ქუთაისში ორი თვით შრატის დამზადების პრაქტიკულად შესასწავლად“. გაცნობებთ რა ამას გთხოვთ შეგვატყობინოთ თქვენი აზრი, ამასთანავე გაცნობებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის სავეტერინარო გამგეობას საწინააღმდეგო არა აქვს რა ამ „კომანდიროვკისა“.

ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიას.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის რკინის გზის მასწავლებლის დელეგატთა პირველი კონფერენცია გიცხადებსთ თქვენ—დემოკრატიის სახელოვან ბელადს და რესპუბლიკის უზენაეს წარმომადგენელს თანაგრძნობას საყვარელ ვაჟის დაკარგვის გამო და იმედოვნებს, რომ ეს დიდი დანაკლისი ვერ შეასუსტებს თქვენს საზოგადო საქმისადმი სიყვარულს.

რკინის გზის მასწავლებლების დელეგატთა ყრილობის თავმჯდომარე **ათაბეგი.**

სია

ჩაუბარებელი დეპეშებისა ტფილისის ცენტრალური ტელეგრაფის კანტორისა.

16 აპრილისა 1919 წ.

ნოტანებიდან—გეორგიევსკის შესახვევი, სამტრედიიდან—სოლომონ ქიტნიცკის, შორიდან—მიზაილოვისას, ქუთაისიდან—იაკობ ოსიპოვს, ფოთიდან კოწია ხოპერიას, ალექსანდროპოლიდან—შტევიჩს, ფოთიდან—მაჭავარიანს, აჯამეთიდან—ჭეიშვილს, ხონიდან—არკადი ბახტაძეს, ახალციხიდან—რუბენა ვეზაძეს, თეთრი-წყაროდან—ტერ-გრიგორიანცს, ნოტანებიდან—ექიმს სლუშიკინს, ქუთაისიდან—სოლომონ ქიტნიცკის, სამხედრო სამინისტროდან—პოლკ. ტულაევს, კაიაგეტიდან—ჩეპელელივას, ფოთიდან—ოლიფანტი სალაიას, ქუთაისიდან—იოსებ კაჯახაძეს, დედოფლის წყაროდან—ბორის პალიუტკინს, დუშეთიდან—კოტე გოშიაშვილს, ახალციხიდან—ნიკო ხატიაშვილს, ჭიათურიდან—ჩხეიძეს.

22 აპრილილისა 1919 წ.

ოზურგეთიდან—ცინცაძეს ერევნიდან—კორეენევსკის, ახალციხიდან—ავეტისოვს, გაგრიდან—მაჭავარიანს, გურჯაანიდან—გულივეროვას, კოპიტნარიდან—ასათიანს, გაგრიდან—ავდეევას. საღოლლიდან—ქაციტაძეს, ახალციხიდან—კაფადაროვს, ახალსენაკიდან—მილორავას, სიღნაღიდან—სისოვს, სოგუტბულახიდან—ნიკიტენკოს, თეთრი წყაროდან—ტერ-ასატუროვს, ახალქალაქიდან—ზარმარიანს, გაგრიდან—დებიცკის, ბანძიდან—შანგუას, პილენკოვოდან—ლაპერაშვილს.

23 აპრილისა 1919 წ.

ნოტანებიდან—ბეროძეს, ბაქოდან—ბაჯიევს, „ „ —ხანგელოვს, „ „—ვართანოვს, „ —მურმანოვს, ასხაბადიდან—სობოლევს, მერვიდან—კოლინსკის, ბორჯომიდან—ვაჟანინს, დერბენტიდან—გოგანიძეს, პილენკოვიდან—მახანავილს, თეთრი-წყაროდან, ელიბეკიანს, განჯიდან—ბაგიროვს, „ „ —მკრტიჩიანცს, ქუთაისიდან—კიკნაძეს, ბაქოდან—გევიტს, ტყვიბულიდან—კლუჩკოვს, ასხაბადიდან—ხატისოვს, ბაირამალიდან—ბაგრახნოვებს, მერვიდან—შრიობსკებს, პილენკოვიდან—ჩერნენკოს, ფასანაურიდან—სამსონიძეს, მერვიდან—ბობილიოვს, „ „—მაშკოვსკის, „ „ მაშკოვსკის, გრაკალიდან—მუარშსკის, მერვიდან—კილოსონიას, „ „—კარაპეტოვს, ასხაბადიდან—შან აჩცს, მერვიდან—ჩიკვალძეს, „ „—გარიბოვებს, ბაირამალიდან—ოპოშკოს, ყაზბეგიდან—გაკაშელიშვილს, ტეჯენიდან—აბრამოვს, კახიდან—ოვანესოვს, ბელოვორიდან—გველესიანს, განჯიდან—კალმანოვს, ნუხიდან—ვოსკანიანცს, გაგრიდან ავჯევს, ახალციხიდან—კაფადაროვს.

განცხადებანი

1918 წ. ნოემბრის 21 ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც იაგორ გეუოქის ძე კაიტაძაზოვს 1.600 მ. მიჰყიდა ელისბედ სტეფანეს ასულ ჩუბინიძეს მიწის ნაჭერი, მდებარე ქ. ტფილისში, საბურთალოში, ზომით 40 ოთხკ. საჟ. გადახდილია საქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., სიმტკიცის 64 მ. მთავარი ამონაწერი 8 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 158 1—1

1918 წ. დეკემბრის 11-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ივანე ტიმოთეს ძე ბელოდედმა 20.000 მან. მიჰყიდა კონსტანტინე ვიქტორის ძე გენეს მიწის ნაჭერი, მდებარე ქალ. ტფილისში, ქალ. № 778, ზომით 100 ოთხკ. ს. გადახდილია საქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., სიმტკიცის 800 მ. მთავარი ამონაწერი 100 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 129 1—1

1918 წ. ნოემბრის 30-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც იოსებ ივანეს ძე ჭრიკაშვილმა აჩუქა თავის შვილს გიორგი იოსების ძე გაბიტოვს, იმავე ჭრიკაშვილს, მიწის ნაჭერი შენობებით, მდებარე ქ. ტფილისში მე-9 უბ. კრასნოგორის ქ., ქალაქის № 565, ზომით 140 ოთხკ. საჟ. დაფასებული 9.000 მ. გადახდილია სააქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., ადგილის უფასო გადაცემის 201 მ. მთავარი ამონაწერი 70 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 137 1—1

1918 წ. ნოემბრის 21 ტფილისის ოლქის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ანნა ივანეს ასულმა სიგნაევმა 75.000 მ. მიჰყიდა ალა რაგიმ გაჯი გუსეინ ოღლი ჯაფაროვს მიწის ნაჭერი, მდებარე ქ. ტფილისში 1 უბანში ქალაქის № 1648, ზომით 97,75 ოთხკ. ს. გადახდილია საქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., სიმტკიცის 3.000 მ. მთავარი ამონაწერი 375 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 152 1—1

ლეჩხუმის მაზრის კომისარიატი ამით აცხადებს, რომ პენსიონერმა ფერშალმა ანდრია კოძოევმა დაჰკარგა პენსიის წიგნაკი № 15, 1918 და 1919 წლებში ხაზინიდან პენსიის მიღებისა, მნახველთ ვსთხოვთ წარმოადგინონ ლეჩხუმის მაზრის კომისარიატში. 746 3—1

სტეფანე გრიგოლის ძე ვართანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 542 3—1

1918 წლის დეკემბრის 5-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ოგანეს გრიგოლის ძე აკოფოვმა, იაკობ გრიგოლის ძე ტერ არუტინიანმა, ეგიშე გევორქის ასულმა მეცატუნიანმა, ბეგამ და ბაგრატ გრიგოლის ძე ტერ-არუთინიანებმა მიჰყიდეს ვლადიმერ იორდანის ძე მელქაძეს მიწის ნაჭერი, მდებარე ქ. ტფილისში, კამიშის შესახვევში, ქალაქის № 856, ზომით სიგრძით 130 ს., სიგანით 66 ს. გადახდილია სააქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ. სიმტკიცის 1.080 მ. მთავარი ამონაწერი 135 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 128 1—1

1918 წლის ნოემბრის 21-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც გალუსტ არტემის ძე შახმურადოვმა 10.000 მ. მიჰყიდა ნიკოლოზ რომანის ძე არხიპოვს მიწის ორი ნაჭერი, ქალაქ ტფილისში 1 უბანში, ქალაქის № 375. ზომით პირველი—770 ოთხკ. ს. და მეორე—200 ოთხკ. ს.

გადახდილია სააქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., სიმტკიცის 400 მ. მთავარი ამონაწერი 50 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 156 1—1

1918 წ. ნოემბრის 20-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მიხეილ ივანეს ძე კალანდაძემ 2.000 მ. მიჰყიდა ლეოპოლდ ვიაჩესლავის ძე ნეტომიცკის, მიწის ნაჭერი, მდებარე ქ. ტფილისში ბელინსკის ქუჩაზე, № 5, ქალაქის № 1990 ზომით 40 ოთხ. საჟ. გადახდილია სააქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., სიმტკიცის 93 მ. 60 კ. მთავარი ამონაწერი 12 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 157 1—1

1918 წელს აგვისტოში ტფილისში დავკარგე პასპორტი მოცემული ნურმგუზის სამმართველოდან ტოსნენის მაზრა, კურლიანდიის გუბერნია, ქრისტინა იაკობის ასულის ბლაუმისის სახელზე. მპოვნელს ვთხოვ შემატყობინოს შემდეგი მისამართით, ყაზბეგის ქ., № 2, ბინა დაფქვიაშვილისა 536 3—3

ივანე აბრამის ძე ბელიავცევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ხუტორ-რომანოვის კავკასიის განყოფილებიდან ათ ივლისს, 1918 წ. № 38, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 535 3—3

აუქციონი.

ტფილისის ქალაქის ლომბარდი საყოველთაოთ აცხადებს, რომ კვირას, აპრილის 27-ს, დილის 10 საათზე, ლომბარდის ბინაზე საჯაროთ გაიყიდება ვადა გასული გირაოები, რომლებიც შეიცავენ ძვირფას ლითონებს და ქვებს, ლითონის საგნებს, საკერავ მანქანებს, ხალიჩებს, ტყავეულობას, ტანისამოსს და საზოგადოთ ყოველგვარ მოძრავ ქონებას.

№ № ძვირფას გირაოებისა.

10367, 10368, 50293, 77136, 87043, 87477, 90278, 90425, 90491, 90968, 93563, 93805, 94328, 94329, 94902, 96882, 97492, 97859, 98069, 99852, 101215, 101302, 101634, 104325, 105168, 106827, 107042, 108594, 109041, 109197.

№ № ლითონის და სხვ. გირაოებისა.

9220, 10247, 11639, 13587, 13747, 13750, 13920, 14100, 16137, 16360, 16734, 16741 16742, 16762, 16885, 20587.

544. 1—1

ტფილისის ქ-ლ. საკრედიტო საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ქვემოთ მოხსენებულ პირთა უძრავი ქონება, მიღებული საზოგადოების მიერ საწინდრად, დადგენილ გადასახადთა შემოუტანლობის გამო, საჯაროდ გაიყიდება.

ვაჭრობის დღე და დარჩენილ გადასახადის რაოდენობა ცალკე იქნება გამოცხადებული.

774. აივაზოვი ა. გ. (მემკვ.) მეშვიდე უბ. ნავთლუღი, მანაევის ქ. (ყოფილი ბაღი).

853. გაბრაილ ბუდაგის-შვილი და იაკუბ ოღლი მე-7 უბ. პირველი, ერმოლოვის ქ.

1140. ზანდუკელი ო. კ. მეორე უბანი, პრიუტის ქუჩა.

1305. ხიზანოვი კ. ს. (მემკვ.) მეხუთე უბ. ნორაშენის ქ.

2153. გურგენბეკოვი პ. ა. მეშვიდე უბანი, ავლაბარი.

2376. პითოევი იაგულოვი მ. პ. (6 მკვ.) და ტ. და ს. შ. მეხუთე უბ. ბნელი რიგი.

2413. ბელიაევი მ. მ. მეათე უბანი, მეორე მოლოკნის ქ.

2480. ჩიქოვანი ზ. დ. მერვე უბანი, რიყისა და დესიმონოვის ქ.

2513. სარაფიანი ტ. კ. მეხუთე უბანი მეშჩანთა ქ.

2517. ლიუტი კ. ი.—მეექვსე უბ. სეიდაბატის აღმართი.

2564. კვეესი კ. ე. მეათე უბანი, დიდუბე, მარუსას ველი.

2661. ჯანფოლადოვი ს. ბ. მეხუთე უბანი, მუხრანის და პოლიციის ქ.

2703. ათაბეგოვი ი. ნ. პირველი უბ. პროექტიროვანი ქ.

2707. ნასიბოვა ო. მ. მეხუთე უბანი ექსარხოსის მოედანი.

2801. კარაევი ი. ი. პირველი უბანი, პროექტიროვანი ქ.

2802. დოლუხანოვი ნ. რ. 10 უბ. დიდუბე.

2870. სოგომონოვები ა. და შ. გ. მეხუთე უბ. პურისა და გიორგის მოედანი და დიდი მრუდე ქ.

3052. ბაბლუმოვი ი. გ. მესამე უბ. ბანკისა და ყრუ შესახვევი.

3306. ხუბლაროვი მ. ს. მეათე უბანი. ჩერქეზიშვილის ქ.

3340. ვართანოვი ო. ვ. პირველი უბ. პეტროვის შეს.

3465. სარქისოვი მ. ს. მეშვიდე უბ. ხაარინის შესახვ. სურფ-კარაპეტის.

3884. კაპანაკოვები ა. ვ. და ნ. ე. მესამე უბ. ბებუთოვისა და ამაღლების ქ.

4114. ვოშტა კ. ი. მეშვიდე უბ. ვარვარინის ქ.

4174. იედიგაროვები ი. ა. ბ. დ. ბ. კ. ხ. ხ. ა. ხ. და ნ. ხ. მეხუთე უბ. რკინის რიგი.

4276. გეოგარ მირზა მეხუთე უბანი, სოლომონის ქ.

4812. მაღალოვი ზ. გ. 9 უბ. კიროჩნისა და ალექსანდრეს ქ. კუთხე.

4971. ონანოვა ვ. ი. მეათე უბანი, გოგოლისა და ფეიერვერკის ქ.

5074. სამოდუროვი თ. ი. მერვე უბ. დესიმონოვის ქ.

5167. ვარძიგულოვი ა. პ. მეშვიდე უბანი, პოკროვის ქ,

5316. მელიქ-ნუბაროვი გ. ტ. და ტ. ტ. მე-5 უბანი, ველიამინოვის ქ.

5430. სულთანოვი ს. ა. მეათე უბანი, ტატიანის ქ.

5446. კულიჯანოვა მ. ა. და ჭელიძე გ. ა. მეექვსე უბანი, ვორონცოვის ქ.

5618. ყაზაროვა კ. ი. მე-9 უბ. რეუტოვისა და ნიკოლოზის ქ. კუთხე.

5745. აბოვიანცი გ. ვ. მ. ე. ზ. და ელაგინა ს. ზ. მესამე უბანი მადათოვისა და ორბელიანის ქ.

5793. თამამშევი ვ. ი. ნ. ს. ი. და ა. ა. 1 უბანი, ოლღას ქ.

5845. სულთანოვა ზ. ხ. ა. მეათე უბანი ტატიანის ქ.

5989. ატენელოვა ი. ი. მე-3 უბ. განოვის ქ.

6111. სლივიცკაია ე. ა. 9 უბანი, მიხეილისა და კოლონიის ქ. კუთხე.

6173. ხან-პირა ფ. გ. ა. მ. ი. ი. გ. ვ. და ა. მ. მეცხრე უბანი, მიხეილის პროსპ.

6180. სააკოვი ი. მ. მეოთხე უბანი, ბაგრატიონის ქ.

6319. ფიფელოვი მ. ტ. მეათე უბანი, მიხეილისა და პასტეროვის ქ.

6333. შაუმოვები ე. კ. შ. ნ. ო. მ. და ა. ა. მეათე უბანი, ჩერქეზიშვილის და მილიუტინის ქ.

6532. ოკოევები ე. მ. ა. გ. ნ. ს. დ. ს. ლ. და ა. ა. მეორე უბანი, გოლოვინის პროსპ.

6593. კარბელოვა მ. ფ. მეცხრე უბანი, კიროჩნის და ნიკოლოზის ქ.

6618. გრინიოვი ა. ფ. პირველი უბანი, მატინოვის ქ.

6623. ნესმაშნი თ. ს. მეხუთე უბანი, ვორონცოვის ქ.

7123. ფიფელოვი ა. პ. ე. ვ. მ. ნ. და ა. ტ. გრუშენკო მ. ტ. და პროხანოვა ა. ტ. 10 უბანი, ელისაბედისა და კიროჩნი ქ.

7131. ჯანფოლადოვები ტ. ბ. და ვ. ზ. ხოეციან დ. ზ. ხანდამიროვა ბ. ზ. და ფრიდონოვა მ. ზ. პირველი უბანი, ოლღას ქ.

737 1—1

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. ხაჭვარელიძე